



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

7 ნოემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №350

უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №687 ბრძანებულების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ქ. ოზურგეთში, გურიის ქუჩაზე მდებარე 45 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს თანდართული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე